საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მენაღარიშვილი ირაკლი ათინოგენის ძე

მენაღარიშვილი ირაკლი ათინოგენის ძე (დ. 18. V. 1951, თბილისი), ექიმი, პოლიტიკოსი. 1974 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1974–80 ეკავა სხვადასხვა თანამდებობა. 1980–82 იყო თბილ. ჯანდაცვის სამმართველოს უფროსი; 1982–86 – ჯანდაცვის მინისტრის I მოადგილე, 1986–91 – მინისტრი; 1991–92 – სტრატეგიული გამოკვლევის ცენტრის დირექტორი; 1992 – საქართვ. რესპ. სახელმწ. საბჭოს წევრი, საერთაშ. ჰუმანიტ. დახმარების კოორდინატორი; 1992–93 – საქართვ. რესპ. ჯანდაცვის მინისტრი; 1993–95 – საქართვ. პრემიერ-მინისტრის მოადგილე; 1995–2003 – საქართვ. საგარეო საქმეთა მინისტრი; შემდეგ – პრემიერ-მინისტრის კონსულტანტი საერთაშ. საკითხებში.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი.

1989 წ. 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით მიიღო აქტიური მონაწილეობა სასამართლო-სამედ. საექსპერტო გამოკვლევებში.

2018 დაჯილდოვდა „ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით“.